საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის

ქ. თბილისი 05 აპრილი 2024

ერთი მხრივ, **საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ირაკლი ლექვინაძის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახური** (შემდგომში - საქსტატი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - გოგიტა თოდრაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გამოვხატავთ რა ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობის სურვილს, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი).

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა, თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა კონკურენციის, ანტი-დემპინგური და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის წარმართვის პროცესში, სტატისტიკური მონაცემების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო
კანცელარია
01/1998 05.04 2024 წ.
363

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) სააგენტოს მიერ უფლებამოსილებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით, საქსტატში დაცული სტატისტიკური ინფორმაციის, კვლევების და სხვა მონაცემების კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოსათვის მიწოდება;

ბ) საქსტატის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომელთათვის კონსულტაციების გაწევა, კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების გამოყენების, გადამუშავების და სხვა საკითხების შესახებ;

გ) სააგენტოს წინაშე მდგარი გამოწვევების განხილვა და საქსტატის მიერ შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა;

დ) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, ბიზნეს-სექტორში კონკურენციის, ანტი-დემპინგური და მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების დონის განსაზღვრის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე;

ე) მხარეთა ექსპერტებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ვ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

ზ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმატი

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას.

2. ინფორმაციის გაცვლა მოხდება წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

3. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით.

2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე მხარეები წერილობით არ განაცხადებენ უარს მემორანდუმის ვადის გაგრძელებაზე, მისი მოქმედების ვადა გაგრძელდება ახალი ერთწლიანი ვადით.

3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მხარის მიერ მეორე მხარისთვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით. ცვლილება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

5. მემორანდუმი გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სახელით	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სახელით
ირაკლი ლექვინაძე	გოგიტა თოდრაძე
თავმჯდომარე	აღმასრულებელი დირექტორი